საგანმანათლებლო ლიდერის მართვის სტილი 21-ე საუკუნის განათლების მენეჯმენტში

DOI:10.36962/ECS107/1-2/2025-79

ხათუნა ქერაშვილი
საქართველოს ეროვნული უნიერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
tg190484tad@gmail.com

რეზიუმე

მართვის ხელოვნება და ლიდერული თვისებები ის აუცილებელი პირობებია, რომლებზედაც ნებისმიერი ინსტუტიციის წარმატებაა დამოკიდებული, იქნება ეს კერძო თუ საჯარო სექტორი. სწორედ ამიტომ ხდება უფრო და უფრო პრიორიტეტული მენეჯმენტის , როგორც მეცნიერების, განვითარება. ცივილიზაციის პროგრესთან ერთად 21-ე საუკუნე ახალ-ახალ გამოწვევებს გვთავაზობს, რაც საჭიროდ ხდის თანამედროვე ლიდერის იმ თვისებების შესწავლას, რომლებიც გავლენას ახდენს წარმატებულ მმართველობაზე. ეს თვისებები კი, რასაკვირველია, უნდა შეესაბამებოდეს მათ ფუნქციებსა და მოვალეობებს.

საქართველოში განათლების მენეჯმენტის მიმართ მეცნიერული მიდგომა შედარებით ახალია, ამიტომ ლიდერობაც ამ სფეროში საკმაოდ პრობლემური საკითხია. 21- ე საუკუნის საგანმანათლებლო საზოგადოება წინა საუკუნისაგან მკვეთრად განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებს მენეჯერს და სულ სხვა თვისებებს მოითხოვს მისგან.ამ მიმართულებით განხილულია თანამედროვე საგამნათლებლო დაწესებულებებისა და მათი ხელმძღვანელების წარმატებისთვის მნიშვნელოვანი საკითხები მართვის სტილთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: განათლება, მენეჯმენტი, ლიდერობა, მენეჯერი, მართვის სტილი.

შესავალი

განათლება ის სფეროა, რომელზეც არის დამოკიდებული პროგრესი, ცივილიზაცია და საზოგადოების წინსვლა. ამ მნიშვნელოვანი მისიის შესრულება უკვე დიდი ხანია საგანმანათლებლო დაწესებულებებს აკისრიათ. მათი დანიშნულებაა თაობებისთვის ხარისხიანი საბაზისო ცოდნის მიცემ, სწავლა-აღზრდის ფუნქციის შეთავსება, რაც ნებისმიერი ქვეყნის წინსვლის, წარმატებისა და განვითარების გარანტია.

ლიდერის როლი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმატებაში უმნიშვნელოვანესია. სწორედ მისი მმართველობის სტილზეა დამოკიდებული, რამდენად ეფექტიანად მიმდინარეობს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესები, როგორ ახერხებს ორგანიზაცია გაუმკლავდეს თანამედროვე გამოწვევებს და ფეხი აუწყოს მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს. ამდენად, თემის აქტუალურობიდან გამომდინარე, საგანმნათლებლო ლიდერების მართვის სტილთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა განათლების მენეჯმენტის პრიორიტეტად შეიძლება მივიჩნიოთ.

ძირითადი ნაწილი

სანამ თანამედროვე განათლების დაწესებულებების დირექტორების საქმიანობას შევეხებით, აუცილებლად მიგვაჩნია, განვიხილოთ არასწორი შეხედულებები ამ პოზიციასთან დაკავშირებით:

არასწორია მოსაზრება იმის შესახებ, რომ კარგ მენეჯერს ნებისმიერი დაწესებულების მართვა შეუძლია. სინამდვილეში თითოეულ სფეროს გააჩნია თავისებურებები, რომელთა ღრმა ცოდნა აუცილებელია. ასეა სკოლაშიც, პროფესიულ სასწავლებლებსა თუ უნივერსიტეტებში:

მათი ხელმძღვანელები კარგად უნდა იყვნენ დაუფლებული კონკრეტული დაწესებულების საგანმანათლებლო ცხოვრებისა და მართვის სპეციფიკას.

„ლიდერი, როგორც პრივილეგირებული ადამიანი"- ლიდერი არაა სხვაზე მეტად პრივილიგებული, პირიქით, ის მეტი ვალდებულებებითა და პასუხისმგებლობებითაა აღჭურვილი, ამიტომ მისი მოვალეობა ორგანიზაციისა და თანამშრომლების „მსახურებაა".

ვფიქრობთ, სიტყვა „დირექტორი" ადრინდელი გაგებით, უკავშირდებოდა დირექტივებს, შენიშვნებისა და მითითებების მიმცემ პირს, რომელსაც გააჩნდა ძალაუფლება. მართალია, ხელმძღვანელ პირი ძალაუფლებას უნდა ფლობდეს, მაგრამ შეიძლება ის სხვაგვარადაც გავიაზროთ: **„ძალაუფლება"-მაქვს ძალა, უფლება მოვიპოვო მართვაზე, ავიღო პასუხისმგებლობები და მოვალეობები** (ფორმულირებულია ავტორის მიერ).როგორ უნდა გამოიყენოს ძალაუფლება ლიდერმა და რა შემთხვევაში მიაღწევს ის წარმატებას, ეს დამოკიდებულია მის კომპეტენციაზე. არსებობს ძალაუფლების 4 ტიპი:

1. ბიუროკრატული;
2. პიროვნული;
3. პროფესიული;
4. მორალური.

ბიუროკრატული სტილის გამოყენებისას ხელმძღვანელი წარმატებას აღწევს იმის ხარჯზე, რომ აქვს კარგი ცოდნა, რისი დახმარებითაც მართავს ორგანიზაციას. **პიროვნული სტილის** შემთხვევაში, ხელმძღვანელი პირი გამოირჩევა ადამიანების ბუნების კარგი ცოდნით, რომელიც ეყრდნობა და იყენებს თანამშრომელთა პიროვნულ თვისებებს ორგანიზაციის სასარგებლოდ. **პროფესიული** - მართვისას ეყრდნობა სამეცნიერო მიღწევებს, მეცნიერული კვლევების საფუძველზე მიღებულ შედეგებს იყენებს წარმატების მისაღწევად. **მორალური** - ყველაზე მაღალ დონედ შეიძლება მივიჩნიოთ, რომელიც გვთავაზობს გაზიარებულ ლიდერობას, ეს ძალაუფლების ის ტიპია, როდესაც ხელმძღვანელი პირი საერთო იდეის გარშემო იკრებს თანამშრომლებს, ღირებულებები, ფასეულობები და მიზნები გაზიარებულია მის მიერ. ქმნის ისეთ გარემოს, რომელიც წაახალისებს გაზიარებულ პასუხისმგებლობასა და თანამონაწილეობას საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების პროცესში;

თანამედროვე საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელებისის ლიდერობის სამი მიმართულებით შეიძლება განვიხილოთ:

1) გაზიარებული ლიდერობა;
2) ინსტრუქციული ლიდერობა;
3) ტრანფორმაციული ლიდერობა.

გაზიარებული ლიდერობისას მენეჯერი მისაბაძი მაგალითია, იკრებს ძლიერ გუნდს თავის გარშემო , რომელთაც უზიარებს პასუხისმგებლობას ხედვაზე, მისიაზე, ღირებულებებზე. თითოეული თანამშრომელი თავის საქმიანობაში კი არ იკეტება, არამედ თავს თვლის მთლიანის ნაწილად, კარგად იაზრებს, რომ მასზეა დამოკიდებული საგანმანათლებლო დაწესებულების წარმატება.ინსტრუქციული ლიდერობისას ხელმძღვანელი პირი ინსტრუქციას აძლევს თანამშრომლებს, კარგად იცის თავისი საქმე და შეუძლია, სწორად დაგეგმოს და გადაანაწილოს ფუნქციები .ტრანსფორმაციული ლიდერობისას იკვეთებიან ახალი ლიდერები ახალი ვითარების შესაბამისად, ასეთი ტიპის ლიდერობა არის რეფორმების თანამდევი ნაწილი, როდესაც ფუნდამენტურად იცვლება რაღაცები და საჭირო ხდება ახალი მიდგომები.

ლიდერობის ეს სტილი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. ტრანსფორმაციული ლიდერობის ფუძემდებელი არის ჯეიმს ბერნსი. თანამედროვე ლიდერობის კონცეფცია სწორედ ამ მეცნიერის შეხედულებებს ეფუძნება, რომლის თანახმადაც გენიალურია ის ლიდერი, რომელსაც შეუძლია ზუსტად განსაზღვროს, როგორ უნდა იმოქმედოს ჯგუფის ღირებულებებსა და მოტივაციაზე. მან ასევე გამიჯნა ერთმანეთისგან ტრანსფორმაციული და ტრანზიტული ლიდერობა.

ტრანზიტულ ლიდერობაში იგულისხმება ორ ადამიანს შორის რაღაცის გაცვლა, ხოლო ტრანსფორმაციული ლიდერობა ორიენტირებულია ცვლილებებზე და საუკეთესო მიდგომად ითვლება. მის შედეგიანობას განაპირობებს 4 ფაქტორი:

1. ინდივიდუალური მიდგომა - თითოეული თანამშრომლის მიმართ პერსონალური ყურადღების გამოჩენა.

2. ინტელექტუალური სტიმულაცია - თანამშრომლებისთვის პრობლემების მოგვარების ახალი მიდგომებზე ფიქრის შესაძლებლობის მიცემა.

3. ინპირაციული მოტივაცია - მაღალი მოლოდინების შექმნა.

4. იდიალიზებული გავლენა - პირადი მიღწევებით, ხასიათით და ქცევით სამაგალითო მოდელის ჩვენება.

ეს ოთხი ფაქტორი უზრუნველყოფს 21-ე საუკუნის წარმატებული ლიდერის მიერ საგანმნათლებლო დაწესებულებების მართვის ეფექტიანობას.

დასკვნა

ლიდერობის თანამედროვე თეორიებსა და მართვის სტილს კარგად უნდა იცნობდნენ საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელი პირები, რათა ეფექტიანად გამოიყენონ პრაქტიკულ საქმიანობაში.ადამიანური რესურსების სწორად მართვა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება განათლების სისტემის განვითარებისა და არსებული კლიმატის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ამიტომ თითოეული საგანმანათლებლო დაწესებულების ლიდერს კარგად უნდა ჰყავდეს შესწავლილი თანამშრომლები და ცდილობდეს შეუსაბამოს მართვის სტილი. ამისთვის კი უნდა იცნობდეს თავისი გუნდის წევრთა თვისებებს , მათ მოტივაციას, პრეტენზიებს, მოთხოვნებს.

ოცდამეერთე საუკუნის წარმატებულმა მენეჯერმა ეფექტიანად უნდა გამოიყენოს ადამიანური, ფინანსური თუ მატერიალური რესურსები თავისი დაწესებულების წარმატებისთვის, ამაში მას დაეხმარება თავისი როლის გააზრება და მართვის „მორალური სტილის " მორგება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://mastsavlebeli.ge/wp-content/uploads/2021/11/Book-Tanamedrove-sklois-martva-web.pdf - ლიდერობის თეორიები განათლებაში

2. http://mastsavlebeli.ge/wp-content/uploads/2021/11/Book-Tanamedrove-sklois-martva-web.pdf

3. https://directors.mes.gov.ge/upload/metotxmete.pdf

4. https://elibrary.emis.ge/uploads/other/137.pdf ლიდერობა- თეორია და პრაქტიკა ,მეხუთე გამოცემა.

5. https://www.roigroup.ge/lead-sit-theory/

6. შუკაკიძე ბ., ლიდერობის თეორიები განათლებაში, სსიპ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ჟურნალი „თანამედროვე სკოლის მართვა", 2021, 7 გვ.

7. ნორთჰაუსი პიტერ გ.„ ლიდერობა, თეორია და პრაქტიკა," V გამოცემა 2010.

8. პეტრა ი, სნოუდენი, „ლიდერობა და ადმინისტრირება სკოლაში", უაიდენერის უნივერსიტეტი, მეშვიდე გამოცემა

9. ბერიძე რ., ადამიანური რესურსების მენეჯმენტი. თბილისი, 2011.

REFERENCES:

1. http://mastsavlebeli.ge/wp-content/uploads/2021/11/Book-Tanamedrove-sklois-martva-web.pdf - Leadership theories in education.
2. http://mastsavlebeli.ge/wp-content/uploads/2021/11/Book-Tanamedrove-sklois-martva-web.pdf
3. https://directors.mes.gov.ge/upload/metotxmete.pdf
4. https://elibrary.emis.ge/uploads/other/137.pdf Leadership - theory and practice, fifth edition.
5. https://www.roigroup.ge/lead-sit-theory/
6. Shukakidze B., Theories of leadership in education, SSP. National Center for Professional Development of Teachers, "Modern School Management" magazine, 2021, 7 p
7. Peter G. Northhouse, Leadership, Theory and Practice, 5th edition 2010.
8. Petra I, Snowden, "Leadership and Administration in Schools", Widener University, Seventh Edition.
9. Beridze R., Human resources management. Tbilisi, 2011

EDUCATIONAL LEADER'S MANAGEMENT STYLE OF 21ST CENTURY EDUCATION MANAGEMENT

Khatuna Kerashvili ,
Associate Professor
of Georgian National University ("SEU"),
tg190484tad@gmail.com

RESUME

The art of leadership and qualities of management are the necessary conditions on which the success of any institution depends, be it the private or public sector. This is why the development of management as a science is becoming more and more priority. As civilization progresses, the 21st century offers new challenges that make it necessary to study the qualities of the modern leader who influence successful governance. These qualities, of course, must correspond to their functions and duties.

The scientific approach to education management in Georgia is relatively new, so leadership is also a very problematic issue in this area. The educational community of the 21st century sets drastically different requirements for the manager and requires a completely different set of qualities.

The article discusses issues important to the success of modern educational institutions and their leaders regarding the management style.

Keywords: Education, management, leadership, manager, management style.